

შპს მენესო ჰესი MENESO HPP Ltd

წერილი №01/08

31 ივლისი 2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 29 ივლისის N7194/01 წერილის შესაბამისად, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არაგვზე 7,4 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, კომპანიამ უზრუნველყო ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გარემოსდაცვით დოკუმენტაციაში გათვალისწინება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინე შესწორებულ გზშ-ის ანგარიშს და არატექნიკურ რეზიუმეს.

შენიშვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

წერილს თან ერთვის:

- 7,4 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია.
- პროექტის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- შენიშვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით - 5 გვ.
- 1-3 პუნქტებში გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - ICD.

პატივისცემით,

ზაზა მირცხულავა

შპს „მენესო ჰესი“-ს დირექტორი

ქ.თბილისი, შიო მღვიმელის ქ.6
Shio Mgvimeli Str.6, TBILISI, GEORGIA
TEL: + (995 99) 58 22 36
E mail: zaalmir@gmail.com



ინფორმაცია

მენესო ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 ივლისის N7194/01 წერილში მოყვანილი შენიშვნებზე რეაგირების თაობაზე

N	სამინისტროს 2020 წლის 29 ივლისის N7194/01 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები	ინფორმაცია სამინისტროს 2020 წლის 29 ივლისის N7194/01 წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გზმ-ს ანგარიშში გათვალისწინების შესახებ.
1.	როგორც გზმ-ის ანგარიშში აღნიშნული სკოპინგის ეტაპზე, მილსადენის სიგრძედ განიხილებოდა 2400 მ, მილსადენის სიგრძის ცვლილება (2280მ) განაპირობა ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის ცვლილებამ, რომელიმაც დაახლოებით 120 მეტრით გადაიწია მდინარის ზედა ბიეფში და ამით შემცირდა სადაწნო მილსადენის სიგრძე. გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იყო 2376 მეტრის სიგრძის მონოლითური რკინაბეტონის სადაწნო მილსადენის მშენებლობა, ხოლო ჰესის შენობის მოწყობა - მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროზე ზღვის დონიდან 885,6 მ ნიშნულზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს რამ განაპირობა ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის ცვლილება და მდინარის ზედა ბიეფში 120 მეტრით გადაწევა. დასაზუსტებელია ასევე ჰესის შენობის განთავსების ნიშნული	<p>„მენესო ჰესის“ სკოპინგის ანგარიშის მე-2 თავის მიხედვით, სადაწნო მილსადენის საერთო სიგრძე 2400 მ-ია. ხოლო სკოპინგის ანგარიშის 2.1.4 თავის მიხედვით, 2376 მ არის სატურბინე განმტობამდე არსებული მონაკვეთის სიგრძე (იხ. სკოპინგის ანგარიშის გვ. 5 და გვ. 9).</p> <p>გზმ-ის ეტაპზე შეიცვალა ჰესის შენობის განთავსების ტერიტორია, რამაც გამოიწვია მილსადენის სიგრძის დამოკლება და მისი საერთო სიგრძე შეადგენს, 2280 მ-ს, რასაც ემატება სატურბინე მილსადენების სიგრძე 25 მ თითოეული განმტობებისათვის.</p> <p>ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის ცვლილება განხორციელდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ჰესის შენობა დაშორდა მიწის ნაკვეთს, რომელსაც სახნავ-სათესი დანიშნულებით იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა 2) სამშენებლო თვალსაზრისით შეირჩა უკეთესი სამშენებლო მოედანი. 3) ძვირადღირებული მონოლითური რკინაბეტონის სადაწნო მილსადენის სიგრძის შემცირების გამო, შემცირდა სამშენებლო სამუშაოების ღირებულება <p>ახალი განთავსების ადგილზე, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე ტერიტორიის ნიშნული შეადგენს 886.5 მ ზღვის დონიდან. ტურბინის ღერძის ნიშნული და ნიშნულები რჩება უცვლელი.</p> <p>იხ. გზმ-ის ანგარიშის 4.1 თავი, გვ. 22.</p>
2.	გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე, ხმელეთის ცხოველებზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებში აღნიშნულია, რომ სამუშაოს დაწყების წინ კონტრაქტორმა უნდა მონიშნოს სამშენებლო პროგრამაში მოსხენიებული ყველა უბანი, ამ ტერიტორიებზე ავეთქება უნდა აიკრძალოს მარტის ბოლოდან ივლისის ბოლომდე. თუმცა გზმ-ის ანგარიშის მიხედვით მშენებლობის ეტაპზე ავეთქებითი ღონისძიებების განხორციელება არ იგეგმება.	<p>გიდასტურებთ, რომ პროექტი არ ითვალისწინებს ავეთქებითი სამუშაოების ჩატარებას და ხმელეთის ცხოველებზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებში შეტანილი იქნა შესაბამისი შესწორება.</p> <p>რაც შეეხება ორნითოლოგიურ კვლევას, იქიდან გამომდინარე, რომ ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე პროექტმა უნდა გაიაროს ჯერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შემდეგ მშენებლობის ნებართვის მისაღებად დადგენილი პროცედურები რაც მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს, ნებართვების მიღების შემდეგ.</p>

	<p>ამავე შემარბილებელ ღონისძიებებში აღნიშნულია, რომ ზეგავლენის უფრო დეტალურად შესავსებლად საჭიროა ორნთოლოგიის მიერ დამატებით სავსე და კამერალური დაკვირვებების განხორციელება, თუმცა არ არის მითითებული როდის და რა პერიოდის განმავლობაში დაგეგმილი დამატებითი კვლევების განხორციელება, რაც საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან მიმართებით;</p>	<p>მშენებლობის დაწყებამდე, მიზანშეწონილია ჩატარდეს როგორც ხმელეთის ფაუნის ისე ორნთოლოგიის კვლევა. შესაბამისად, გზმ-ს ანგარიშში, შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში მოცემულია, რომ „სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შემოწმებული იქნება მისასვლელი გზების, მდინარის კვეთების ადგილები (განსაკუთრებით სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორია) მოზინადრე ფრინველთა ბუდეების და მტაცებელ ძუძუმწოვართა ნაკვალავის და სიროვნის დასაფიქსირებლად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება წვივის საბინადრო ადგილების დაფიქსირებაზე“</p> <p>რაც შეეხება წარმოდგენილ შენიშვნას, აღნიშნული ღონისძიებები გაწერილი იქნა მშენებლობის პერიოდისთვის დაგეგმილი მონიტორინგის ფარგლებში</p> <p>იხ. გზმ-ის ანგარიშის 6.7.3.3. თავი, გვ. 218.</p>
3.	<p>გზმ-ის ანგარიშში მოცემული ძირითადი ჰიდროენერგეტიკული მაჩვენებლების ცხრილის (ცხრილი 4.4.) მიხედვით სტატიკური დაწვევა შეადგენს 36,4 მეტრს, ხოლო 10%-იანი, 50%-იანი და 75%-იანი უზრუნველყოფის წლებისთვის გაანგარიშებულ ჰიდროენერგეტიკულ მაჩვენებლებში სტატიკური დაწვევა შეადგენს 36,9 მეტრს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას.</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში 4.1.1. ცხრილში შესწორდა უზუსტობა. ჰესის სტატიკური დაწვევა შეადგენს 36.9.</p> <p>იხ. გზმ-ის ანგარიშში ცხრილი 4.1.1.</p>
4.	<p>გზმ-ის ანგარიშის თანახმად სადაწნო მილსადენი მოეწოება დახურულ ტრანშეაში და ჰესის უშუალო სიახლოვეს განსტოვდება ორ სატურბინო მილსადენად. აღნიშნული მილსადენის დიამეტრი წარმოდგენილი ძირითადი ჰიდროენერგეტიკული მაჩვენებლების ცხრილისა და გზმ-ის ანგარიშის ზოგიერთი ქვეთავის მიხედვით, შეადგენს 1800 მმ-ს, თუმცა სადაწნო მილსადენის ჰიდრაულიკურ ანგარიშში აღნიშნული მილსადენის სიგრძედ (შესაბამისი გაანგარიშებით) მითითებულია 1820 მეტრი, რაც საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში შესწორდა უზუსტობა, განსტოვებული მილსადენების დიამეტრი შეადგენს 1820 მმ-ს.</p> <p>იხ. გზმ-ის ანგარიშის გვ. 15, 22, 24 და 41.</p>
5.	<p>ვინაიდან როგორც სკოპინგის დასკვნაში იყო აღნიშნული, მდ. არაგზე 7,4 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესის) მშენებლობის და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციით და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ დანართში მოცემულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომელშიც მოცემულია, რომ:</p> <p>„მდ. არაგზე მენესოს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, ნაწილობრივ მოიცავს სახელმწიფო ბალანსზე რიცხვული</p>

<p>არსებული ინფორმაციით, კვეთს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული არაგვისპირის ქვიშა-ხრეშის საბადოს, თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშთან და კანონით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო საპროექტო ტერიტორიის შეზღუდვის არეალის ფართობის Shp-ფაილი, აღნიშნულ ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშ) მარაგის და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია კომპანიაში უზრუნველყო თუ არა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.</p>	<p>არაგვისპირის, ფასანაურისა და ანაურის ქვიშა-ხრეშის საბადოების კონტურებს. საპროექტო ტერიტორიის არაგვისპირის საბადოსთან თანაკვეთის ფართობია - 6,24 ჰა და მარაგი C1 კატეგორიით შეადგენს - 187 200 მ³. ფასანაურის საბადოსთან თანაკვეთის ფართობია - 6,95 ჰა, სადაც მარაგი C1 კატეგორიით შეადგენს 208 500მ³, ხოლო ანაურის საბადოსთან თანაკვეთის ფართობია-0,24 ჰა და მარაგი შეადგენს C1 კატეგორიით- 7 200 მ³.</p> <p>„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის შესაბამისად 1მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის მოსაკრებელი განსაზღვრულია 0,2 ლარით“.</p> <p>ოქიდან გამომდინარე, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და 39-ე მუხლებით, შესაბამისი შეთანხმებისა და კომპენსაციის გადახდის გარეშე, შეზღუდვა წესდება წიაღის ფონდის მიწების გასხვისებასთან და განაშენიანებასთან დაკავშირებით და საპროექტო ტერიტორიებზე შესაბამისი უფლების დამატებული დოკუმენტი მშენებლობის ნებართვის მე-2 სტადიის დოკუმენტაციის ნაწილია, გზშ-ის ეტაპზე კომპენსაციის გადახდა მიზანშეწონილი არ არის, რადგან პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ჩასატარებელი მთელი რიგი პროცედურები, რაც არ გამოირიცხავს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.</p> <p>წიაღის ფართობებზე კომპენსაციის გადახდა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტზე გაიცემა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცდება მიწის საშენებლოდ გამოყენების პირობები.</p> <p>რაც შეეხება პროექტის საბადოსთან ზედდების ფართობების shp ფაილებს, საბადოების კოორდინატების შესახებ ინფორმაცია, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ არ გაიცემა, შესაბამისად, გზშ-ს ანგარიშში შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს მიერ მომზადებული სიტუაციური რუკის წარმოდგენა.</p> <p>იხ. გზშ-ის ანგარიშის 4.1 თავი, გვ. 23. და დანართი 5.</p>
--	---